



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მჟავანაძე ვასილ პავლეს ძე



ვ. მჟავანაძე

მჟავანაძე ვასილ პავლეს ძე [7(20). IX. 1902, ქუთაისი, - 31. VIII. 1988, მოსკოვი, დაკრძალულია თბილისში, საბურთალოს პანთეონში), საქართველოს სსრ კპ ცკ-ის პირველი მდივანი (1953-72), გენ.-ლ. (1944), სოციალ. შრომის გმირი (1962). 1924-იდან მსახურობდა წითელ არმიაში. 1927 გახდა კპ(ბ) წევრი. დაამთავრა ლენინგრადის (ახლანდ. სანქტ-პეტერბურგი) სამხ.-პოლიტ. აკადემია (1937). 1939-40 არმიის პოლიტ, განყ-ბის უფროსისა და არმიის კომისრის რანგში მონაწილეობდა სსრკ-ფინეთის ომში. იყო ბალტიისპირეთის განსაკუთრებული სამხ. ოლქის პოლიტ. განყ-ბის უფრ. და ბრიგადის კომისარი (1940). II მსოფლიო ომის (1939-45) დროს მონაწილეობდა ლენინგრადის დაცვაში და ლენინგრად-ნოვგოროდის შეტევით ოპერაციაში. 1942 დეკემბერიდან იყო

ლენინგრადის ფრონტის 42-ე არმიის და ბალტიისპირეთის მე-3 ფრონტის მე-2 დამრტყმელი არმიის სამხ. საბჭოს წევრი. 1942 მიენიჭა გენ.-მ-ის წოდება. 1945-53 იყო ხარკოვის, კიევისა და კარპატისპირეთის სამხ. ოლქების პოლიტ. სამმართველოს უფროსი. 1956 აირჩიეს სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს (პრეზიდიუმის) წევრობის კანდიდატად. იყო სსრკ უმაღლ. საბჭოს IV-VIII მოწვევის დეპუტატი. 1964 მ-მ დაუჭირა მხარი ხრუმჩოვის მონინალმდეგე ბანაკს საბჭ. ხელმძღვანელობაში. მისი მოღვაწეობის პერიოდში ბევრი გაკეთდა თბილისის კეთილმოწყობისა და განაშენიანებისთვის, საბჭოთა რეჟიმის პირობებში განვითარდა ეკონომიკა, კულტურა, მეცნიერება, ამაღლდა ცხოვრების დონე. 1972 სექტ. 8. გაათავისუფლეს პირველი მდივნის თანამდებობიდან. სიცოცხლის

ბოლომდე, ცხოვრობდა მოსკოვთან ახლოს მდებარე დასახლება ჟუკოვკაში.

მიღებული აქვს უმაღლესი დონის სახელმწ. ჯილდოები.

ლიტ.: მ ჟ ა ვ ა ნ ა ძ ე ნ . , კ ა ხ ა ძ ე მ . , ასეთი იყო ჩემი საქართველო, თბ., 2013; ნ ა თ მ ე ლ ა ძ ე მ . , დ ა უ შ ვ ი ლ ი ა ლ . , საქართველოს უახლესი ისტორია (1921-2000), თბ., 2004; შ ვ ე ლ ი ძ ე დ., საქართველოს უახლესი ისტორია (1917-2012), თბ., 2021.

უ. ბლუაშვილი

მ. გოგიტიძე
